ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიწერეთ

# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

29 ოქტომბერი სამშაბათი 1991 № 124 (11757)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი — ფასი 10 კაპ.





ერთი წელიწადი გავიდა პირველი თავისუფალი ეროვნული არჩევნებიდან, როცა ერს პირველად მიეცა საშუალება ყოველგვარი ძალდატანებისა და ფარსის გარეშე აერჩია შელისუფლება, განესაზღვრა საკუთარი ბედი.

უკან დარჩა იმედების ასრულებისა და, ამავდროულად, გაცრუების დრო. ბევრი რამ გაკეთდა სასიკეთო, ბევრიც, დაპირების სახით რომ იყო ავანსად გაცემული, ჯერ კიდევ შეუსრულებელია.

პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია, არაა ერთიანობა, ერთიანი სწრაფვა მიზნისკენ.

„რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"

რა გველის უახლოეს მომავალში?

აი, კითხვები, რომლებზეც პასუხს დღეს უველა ელის.

## საერთაშორისო ცხოვრება

მოსკოვში დაიწყო დასავლეთის 7 წამყვანი ქვეყნის ფინანსური წრეების წარმომადგენელთა თათბირი საბჭოთა ოფიციალურ პირებთან. მოლაპარაკებებში მონაწილეობენ როგორც საკავშირო ცენტრალური ხელისუფლების, ისე რესპუბლიკათა წარმომადგენლები. დღის წესრიგის მთავარი საკითხია საბჭოთა კავშირის მიერ მისი საგარეო ვალის გადახდა, რაც აუცილებელი წინაპირობაა დასავლეთის მიერ შემდგომი ეკონომიკური დახმარებისა და კაპიტალდაბანდებების გარანტიებისათვის. საბჭოთა კავშირის საგარეო ვალი, ზოგიერთი მონაცემებით, 68 მილიარდ დოლარს შეადგენს.

●

თურქმენეთის პარლამენტის სესიამ მიიღო კანონი რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და მისი სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძვლების თაობაზე. პოსტფაქტუმის სააგენტოს ცნობით, დამოუკიდებლობის დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის კანონმდებლობა პრიორიტეტულია საკავშირო კანონებზე, რესპუბლიკას ასევე უფლება აქვს განახორციელოს თავდაცვის საკუთარი პოლიტიკა და შექმნას საკუთარი შეიარაღებული ძალები. თურქმენეთის პარლამენტმა ხმა მისცა სიტყვა „სოციალისტურის" ამოღებას რესპუბლიკის ოფიციალური სახელწოდებიდან. შაბათს აქ ჩატარებულ რეფერენდუმში კენჭისყრაში მონაწილე რესპუბლიკის მოსახლეობის 94%-ზე მეტმა ხმა მისცა თურქმენეთის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ამ დეკლარაციის მიღების შემდეგ რუსეთი და ყაზახეთი რჩებიან იმ ორ საბჭოთა რესპუბლიკად, რომელთაც არ გამოუცხადებიათ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა.

●

ბაქოში ჩატარდა 100-ათასიანი დემონსტრაცია პრეზიდენტ ა. მუტალიბოვის პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელმაც 7 რესპუბლიკის ლიდერთან და საბჭოთა პრეზიდენტ მ. გორბაჩოვთან ერთად ხელი მოაწერა მიმართვას უკრაინისადმი, არ გამოეყოს საბჭოთა კავშირს, დემონსტრაციის მონაწილეების აზრით, აღნიშნული მოწოდება ეწინააღმდეგება აზერბაიჯანის პარლამენტში ჩატარებულ დისკუსიებს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის საკითხზე. დემონსტრანტებმა ასევე მოითხოვეს იმ სამი დოკუმენტის პრესაში გამოქვეყნება, რომელიც რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო. ერთ-ერთი მათგანია პარლამენტის რეზოლუცია ახალი ეკონომიკური ხელშეკრულების საკითხზე, რომლისთვისაც აზერბაიჯანს ჯერჯერობით ხელი არ მოუწერია; მეორე დოკუმენტი წარმოადგენს დეკლარაციას საბჭოთა კავშირისაგან დამოუკიდებლობის შესახებ, ხოლო მესამე — კანონს ეროვნული არმიის შექმნის თაობაზე.

●

რუსეთში შეიქმნა ახალი — მშრომელთა სოციალისტური პარტია, რომელიც არსებითად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მემკვიდრეს წარმოადგენს. მისი პირველი ყრილობა დანიშნულია დეკემბერში. პოსტფაქტუმის სააგენტოს ცნობით, პარტიის დამფუძნებელი კონფერენციის დელეგატებმა მოსკოვში გააკრიტიკეს პრეზიდენტი გორბაჩოვი, რომლის ბრძანებითაც შეჩერდა სკკპ-ს მოღვაწეობა — აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მისი მონაწილეობის გამო.

●

ცნობილმა ოფთალმოლოგმა სვიატოსლავ ფიოდოროვმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა კიდევ ერთხელ შესთავაზა მას სათავეში ჩაუდგეს რუსეთის მთავრობას. არაბთა გაერთიანებულ საემიროებში საქმიანი ვიზიტით მყოფმა პროფესორმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ მისი საბოლოო გადაწყვეტილება დამოკიდებული იქნება რუსეთის პრეზიდენტის პროგრამაზე, ვიცე-პრეზიდენტთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან საუბრის შედეგებზე და რუსეთის პარლამენტის პოზიციაზე. პრემიერმინისტრობის შესაძლო კანდიდატებად ასახელებენ კიდევ რამდენიმე პიროვნებას, მათ შორის ცნობილ ეკონომისტ გ. იავლინსკის, ვიცე-პრეზიდენტ ა. რუცკოის, რუსეთის ბეჭდვითი სიტყვის მინისტრს ა. პოლტორანინს და სხვ.

●

პოლონეთში ჩატარებული თავისუფალი საპარლამენტო არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით, ლიდერობს დემოკრატიული კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი თ. მაზოვეცკი. მან მოაგროვა ამომრჩეველთა ხმების 13,5%. შემდეგ მოდის მემარცხენეთა დემოკრატიული ალიანსი (ყოფილი კომუნისტები) — 12,9%, მესამე ადგილზეა პარტია, რომელიც კათოლიკეთა ინტერესებს წარმოადგენს — 9,4%.

სახელმწიფო საარჩევნო კომისიის ცნობით, არჩევნებში მონაწილეობდა მოსახლეობის 40%; კორესპონდენტების აზრით, ამომრჩეველთა დაბალი აქტიურობა ასახავს მათ უკმაყოფილებას ეკონომიკური რეფორმების ზოგიერთი შედეგით.

**[illegible]**

ეს ჩვენი ისტორიაა

# ძეგლის ახალი სიცოცხლე ბარაკონი



ამბროლაურის რაიონში, სოფელ წესთან რიონის თვალწარმტაც ხეობაში აღმართულია ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარი, საკმაოდ ვრცელი, გუმბათოვანი. იგი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლია ხუროთმოძღვარ ავთანდილ შულავრელის მიერ რაჭის უძლიერესი მფლობელის როსტომ ერისთავის ბრძანებით აგებული 1753 წელს.

ცნობილია, რომ ბარაკონში როსტომ რაჭის ერისთავის დროს ერისთავთა სასახლეც მდგარა პატარა კარის ეკლესიით. და აი, სწორედ ამ ეკლესიის სიახლოვეს აიგო ეს საკმაოდ ვრცელი გუმბათოვანი ტაძარი მე-11-13 საუკუნეების სტილისა. რაჭის ერისთავი როსტომი სწორედ ბარაკონის ტაძარშია დასაფლავებული 1790 წელს.

ავთანდილ შულავრელის სახელი მოხსენიებულია აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში. ხუროთმოძღვარი, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია მითითებული, აღმოსავლეთ საქართველოდან უნდა ყოფილიყო.

მიმდინარე წლის მიწისძვრამ ბარაკონის ტაძარსაც შეახო მსახვრალი ხელი, საგრძნობლად დაზიანდა გუმბათი, მისი ჩუქურთმები. გუმბათის მთლიან დანგრევას აღარაფერი აკლდა.



ძეგლთა დაცვის სამმართველოს არქიტექტორებმა — მურად ანდრიაძემ და გოგი ნიკოლაძემ არ დაიშურეს გამოცდილება, რათა ტაძრის გუმბათი წესრიგში მოეყვანათ და აღედგინათ თავდაპირველი სახით. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ სარესტავრაციო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტის დირექტორის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ომარ ჭანტურიძის გულისყური ამ საშვილიშვილო საქმის მიმართ.

ბარაკონის ამაყი გუმბათი კვლავ შეჰყურებს ამომავალ მზეს. ისეთი გრძნობა გეუფლება კაცს, თითქოს არავითარი მიწისძვრა და ნგრევა ამ ტაძარს არ განეცადოს. მაგრამ ეს შესრულებული სამუშაოს მხოლოდ ერთი ნაწილია, ბარაკონზე კვლავ გრძელდება აღდგენითი სამუშაოები. გამაღლებული მზადება მიმდინარეობს ახალი საზურგის დასაგებად.

**თამაზ ჯიქაია**

**ავტორის ფოტოები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრობლემის არსი ისევ შიგნით — ეროვნულ ხასიათში, ეროვნულ სულში უნდა ვეძიოთ: ქართული ხასიათის მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალიზმი ოდითგანვე უხვად კვებავდა ცენტრიდანულ ძალებს და მათ მესამე ძალის პირობებში, არ უშვებდათ დამოუკიდებლობისაკენ ხწრაფვა პოლიტიკურ ხარისხამდე აეყვანათ. განუოფისა და ხეპარატიზმის მკვებავი გარეშე ძალა კი, არც წარსულში და არც ახლა, საქართველოს არასოდეს არ აკლდა.

მხოლოდ ძლიერი სამხედრო ძალით ბერხდეპოდა ცენტრიდანული ძალების პოლიტიკური ამბიციების ალაგმვა. დავითის, ისე როგორც მთელი „ოქროვანი ხანის“ ერთიანი საქართველოს უენოზენი, პირველ რიგში, ამით აიხსნება. არნახული სისასტიკით, ხიხხლით და მახვილით ალაგმვენ ბოდა განუოფა-განდგომის უოველი ცდა, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ უოველი გამოვლენა საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. ალბათ, ამ ფაქტორმაც აზაჩრდიუვა დავითის „გვლოვანი სინანულისანი“. ცოდვათა მონანიების დღეს ჩვენთვის გაუგებარი სენტენციები...

გიორგი ბრწყინვალის შემდეგ ძლიერი საერთო-ეროვნული სამხედრო ძალა საქართველოს არც ერთ მეფეს აღარ ჰყოლია: ისე მონღოლთა და „მოისრა“ ერის ძირითადი მწარმოებელი ძალებიც და მასთან ერთად, ეროვნული ეკონომიკაც, რომ ამის მატერიალური ბაზა უბრალოდ, აღარ არსებობდა. ამან განაპირობა ერთობისათვის ბრძოლის შესუსტებაც და არა „ბაგრატიონთა ცუნდრუკა მეფეების ბეთოვლათობამ“. დამყარდა ძალთა გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური პარიტეტი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შორის.

მაგრამ ეს რიდი ნიშნავდა ქართველთა და მათ პოლიტიკურ ხელმძღვანელთა შეგნებიდან ერთიანი ისტორიული ბედის ამოძირკვას. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ, თუნდაც ყველაზე „ცუნდრუკა“ მეფეს, რომელსაც ჩვენსავით იმერელზე, ან ამერელზე „უცხო კაცი“ ეთქვას. ერთიანი ქართული ეთნოსი კულტურული და სულიერი ერთობის თვალსაზრისით, არასოდეს დანაწევრებულა. „სულთასწრაფვა და გულთასწრაფვა ერთობისაკენ“ საქართველოში მუდამ ზეობდა.

სწორედ ერთიანი ისტორიული ბედის შეგნება არის ქართველთა ერთობაში „მზიანი დილის ალმოხდენის“ ჩვენი მთავარი იმედიც. ოლონდ ეგაა, ახლა მაინც ამას „ხელისგამართვა“ უნდა. რაც შეეხება პარტიკულარიზმის — „საქართველოს ახალი დანაწილების საფრთხეს“, რაც ვითომდა ბაგრატიონების დინასტიის აღდგენას შეიძლება მოჰყვეს, ჩვენ პირიქით ვფიქრობთ: ძველი სიბრძნისა არ იყოს, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“, ძველი საქართველოს სამეფო-სამთავროთა ავტონომიურმა განვითარებამ ქვეყნის ფედერალური მოწყობისათვის გარკვეული ტრადიცია შექმნა. თვითმმართველობაზე დაფუძნებულმა ქვეყნის ცალკეული მხარეების ავტონომიურმა განვითარებამ, პერსპექტივის თვალსაზრისით, არ შეიძლება პოზიტიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები არ მოგვცეს. პოლიტიკური და ეკონომიკური დეცენტრალიზაციის გარეშე საქართველოს, როგორც მაღალცენტრალიზებულ ცივილიზებულ ქვეყანას, მომავალი არა აქვს.

ამ თვალსაზრისით აქ ისიც უნდა ითქვას, რომ იმ პირობებში, როცა ერის დიდი ნაწილი სხვა პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ გარემოში ცხოვრობს და ვითარდება, ძველი ერთიანი საქართველოს პოლიტიკური სიმბოლიკის აღორძინებამ არ შეიძლება კეთილნაყოფიერი გავლენა არ მოახდინოს მასზე. ჩვენ შეიძლება ვერ ვგრძნობდეთ, მაგრამ „მამმადიანურ საქართველოს“ ცალი ყური და ცალი თვალი დღენიადაგ ჩვენსკენ უჭირავს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფსიქო-გენეტიკურ კომპლექსთან, — ერის რაობის ამ განმსაზღვრელ ფაქტორთან შედარებით, პოლიტიკური, თუ კულტურულ-რელიგიური ფაქტორები დრო-ჟამის განზომილებაში არარაობას წარმოადგენენ (გენეტიკური ინჟინერიის თანამედროვე მონაცემებით ჩვენი გენური კოდი 10 000 წელს ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას). ამიტომ, ჰადრიკისა არ იყოს, იგებს ის პოლიტიკა, რომელიც გრძელვადიან და ღრმა გათვლებს ემყარება. ერის ერთიან ისტორიულ ბედზე გათვლა ჩვენ სწორედ ახეთად გვესახება...

ბატონი ბადრი ნახევრად ირონიულ და ნახევრად სერიოზულ ტონში „ქართველ მონარქისტებს“ გვთავაზობს ბაგრატიონთა „რესტავრაციის“ (!) (ეს ცნება ხომ დამხობილ დინასტიებს ეხებათ და არა უზურპირებულთ) 5 ვარიანტს. აქედან ოთხს რატომღაც სხვადასხვა ქვეყნის (რომის იმპერიის, ინგლისის, საფრანგეთის და ესპანეთის) მაგალითებს უკავშირებს, ის კი ავიწყდება, რომ ნებისმიერი ისტორიული პარალელი ყოველთვის მოიკოჭლებს, რადგან ერთი ქვეყანა და მისი ისტორია არაფრით არ ჰგავს მეორისას და, ესეც რომ არ იყოს, 2000 წლის კი არა, თუნდაც 2 წლის უკანდელი დრო-ჟამი არ შეიძლება დღევანდელობის ორიენტირად იქცეს.

ამიტომ მე ვემხრობი ბ-ნ ბადრის მიერ შემოთავაზებულ (მართალია ირონიით, მაგრამ მას მე სერიოზულად ვიღებ) მე-5 ვარიანტს: „ისტორიაში არ არსებული (ჯერჯერობით) ქართული გზა: ქართველი ერი თავად იწვევს ბაგრატიონებს საქართველოს აღდგენილ სამეფო ტახტზე (ღმერთმა იმედი და გრძელზე გრძელი მოთმინება მოგცეთ)“.

ავტორის მიერ ბაგრატიონების „მოწვევის“ ირონია გასაგებია — ჯერ მართლაც არც ერთ ხალხს არ მოუწვევია დამხობილი დინასტია მმართველობის სადავეებთან, მაგრამ თუ რატომ ჰგონია მას ხალხის (და არა, ცარიზმის), მიერ ბაგრატიონები დამხობილი და დევნილი, ეს კი ჩვენთვის გაუგებარია, მით უმეტეს, რომ იგი წერილის მიხედვით, ისტორიის საკმაო ცოდნას ამჟღავნებს.

ჩვენ არა თუ უნდა „მოვიწვიოთ“, არამედ ზნეობრივად (და იურიდიულადაც), ვალდებულნი ვართ ცარიზმის მიერ ვერაგულად მოტყუებული და თავისი ქვეყნიდან განდევნილი დინასტია აღვადგინოთ თავის ძველ უფლებებში. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყვიტოს ქართველმა ხალხმა სპეციალური ხაერთო-სახალხო რეფერენდუმით, რა ფორმით და დონით აღჭურვოს იგი სახელმწიფო ხელისუფლებით, თუ საერთოდ, ჩამოაშოროს იგი მთლიანად სახელმწიფო ხელისუფლებას. ასეთია უკანასკნელი ორი საუკუნის საქართველოს ისტორიის ლოგიკა და მას ვერავინ ვერ გააუქმებთ. 1918-20 წლებში ქართველი სოციალ-დემოკრატების ყველაზე დიდი სამართლებრივი ლაფსუსი სწორედ ის იყო, რომ მათ „დაივიწყეს“ სახელმწიფო ხელისუფლების კანონიერი მემკვიდრეები. ისტორია კი, როგორც წესი, ასეთ „გულმავიწყობას“ არავის პატიობს...

პრობლემისადმი ასეთი მიდგომით ჩვენ მართლაც ვქმნით ჩვენი საკუთარი ისტორიის წინაშეც და, ამასთან, უზრუნველვყოფთ ხალხის სუვერენიტეტის უნივერსალური პრინციპის დაცვას. მხოლოდ ქართველი ხალხის უზენაესი უფლებაა გადაწყვიტოს საბოლოოდ, მმართველობის რა ფორმაა მისთვის ყველაზე მისაღები.

„მონარქისტებთან“ პოლემიკის, რბილად რომ ვთქვათ, არაეთიკურ ხერხთან ერთად, გაკვირვებას და სინანულს იწვევს ორივე ავტორის ძველი იდეოლოგიური შტამპები: „ჩვენ კომუნისტური ხელმძღვანელობის დიდ დამსახურებად მიგვაჩნია სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია (ჩვენი მთისა და ბარის დამაქცევარი ცალ-ცალკე და ორივე ერთად — ე. ხ.) და კულტურული რევოლუცია (ეროვნული თვითშეგნებისა და კულტურის უპირველესი მტერი — ე. ხ.). თუ ვცდებით, გთხოვთ შეგვახსენოთ ბაგრატიონთა მეფობის დასასრულისათვის ე. ი. დაახლოებით 1800 წელს, რამდენი უმაღლესი სასწავლებელი იყო საქართველოში, ან იქნებ თეატრები, ან მუზეუმები გვქონდა, ან შეიძლება ჯანმრთელობის დაცვის ობიექტები გვქონდა, ან შეიძლება ფიზკულტურა და სპორტი იყო ძალიან განვითარებული, იქნებ იმაზე მეტი წიგნები გვქონდა საოჯახო ბიბლიოთეკაში, ვიდრე დღეს“.

საერთო-საკაცობრიო პროგრესით სპეკულაციის ეს რეციდივი სხვასთან ერთად, იმაზეც მიგვითითებს, თუ რა ღრმად გაჯდა ჩვენს შეგნებაში ძველი ბოლშევიკური „ლოგიკა“ და მისი იდეოლოგიური დოგმების აპოლოგია: ყველაფრის გადაბრალება „ექსპლოატატორულ კლასებზე“. რაკილა ერეკლე მეფემ ვერ შესძლო საქართველოს „ინდუსტრიალიზაცია“, „კოლექტივიზაცია“ და „კულტურული რევოლუცია“, ვერ უზრუნველყო „სოციალისტური საქართველოს“ მოქალაქეები „უფასო“ განათლებითა და ჯანმრთელობის დაცვით და ვერც უამრავი მაკულატურით, მათ შორის „პროლეტარიატის მსოფლიო ბელადების“ ფუნდამენტალური ნაშრომებით მოამარაგა ჩვენი ოჯახები, აღარას ვამბობ იმაზე, რომ ერთი თვითმფრინავი, ტრაქტორი, ავტომობილი, ან თუნდაც, მოტოციკლეტიც კი არ შემოუტანია საქართველოში, რისი იმედი-ლა უნდა გვქონდეს დანარჩენი ბაგრატიონების — ისინიც მისი სისხლის და ჯილაგისანი არ იქნებიან?!

„რა ვუყოთ უამრავ ბაგრატიონ ხანებს და არანაკლებ (მხედველობაში მაქვს რიცხვი) ცუნდრუკა მეფეებს? — აგრძელებს ბ-ნი ბადრი ჩვენი ძველი პოლიტიკური მოღვაწეების გაქიაქებას..., ბოლოსდაბოლოს, როდის შეიტანენ გინესის წიგნში გიორგი XIII რეკორდს?“

ბ-ნო ბადრი, აიღეთ მაგალითად, თქვენი „უამრავი ბაგრატიონ ხანებიდან“ ვთქვათ, შაჰ-ნავაზი, ან როსტომ ხანი, კარგად გაეცანით მათ პოლიტიკას და მის შედეგებს, მერე შეადარეთ ორჯონიკიძიდან დაწყებული, გუმბარიძით დამთავრებული საქ. სსრ ყველა მარიონეტ მმართველს და შემდეგ ვილაპარაკოთ როდის უფრო მეტი გამყიდველი ხანები გვყავდა—ბაგრატიონების, თუ „მშრომელთა მსახურების“ — ქართველი ბოლშევიკების დროს?! რაც შეეხება გიორგი XIII „რეკორდის“ გინესის წიგნში შეტანას, გამარჯვების სრული რწმენით ნიძლავს ჩამოვალ, რომ დღეს კოლმეურნეობის ნებისმიერი თავმჯდომარე და თუნდაც, ფერმის გამგე, იმაზე გაცილებით მეტ ხაქმს და ბატკანს სანსლავს, ვიდრე „საქეშამაა“ გიორგი XIII.

ახე რომ არ იყოს, დღეს ცხვარ-ძროხა ნ-ჯერ ნაკლები არ უნდა გვყავდეს, ვიდრე იმ თქვენგან დაწუნებული ერეკლე II დროს.

ერთ რამეში კი მინდა შევთანხმდეთ „მონარქისტები“ და „ანტიმონარქისტები“ ბოლოს: ასეთი პრიმიტიული კრიტიკა არც ერთს გვარგებს რამეს, და არც მეორეს. ამით მხოლოდ ჩვენს საერთო საქმეს — მომავალი დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას ვავნებთ. დღეს რომ არც ერთ სერიოზულად მოაზროვნე „მონარქისტს“ ტრადიციული ერთმმართველური მონარქიული სახელმწიფოს შექმნა არ სურს და რომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული მონარქიზმის იდეა თავის თავში მოიცავს დემოკრატიული მმართველობის უზენაესობას, ამის თავმდები მე ვარ, ისე როგორც იმისა, რომ „არამონარქიულ“ სახელმწიფოში გაცილებით მეტი განუკითხაობისა და დესპოტიზმის საფრთხე ყოფილა და არის დღესაც. მთავარი ისაა, რომ ქვეყანას, რომელიც პროგრესს ესწრაფვის, ეს საფრთხე რეალობად არ ექცეს. აქ ალბათ „მონარქისტებიც“ და „ანტიმონარქისტებიც“ ერთ პოზიციაზე უნდა დავდგეთ.

და ერთიც კიდევ, რომელიც უნდა გვაერთიანებდეს ყველას და რომელზეც სამართლიანად ხაზს უსვამენ ზემოთაღნიშნული ავტორებიც: როგორც წესი, „მონარქისტული ქვეყნები უძლიერესნი არიან ეკონომიკურად“. ჩვენ რომ არა ვართ, ცხადია, აქაც გეთანხმებით, მაგრამ ვესწრაფვით კი, მაინც აქეთკენ? ვიყენებთ კი, ღვთისაგან ბოძებულ ჩვენი მთისა და ბარის სიმდიდრეს ამისათვის?...

ყველაფრიდან ჩანს, რომ ამაზე ფიქრით მაინცდამაინც თავს არ ვიტკივებთ. ჩვენი ეროვნული სიმდიდრით სარგებლობას ყველა ესწრაფვის, გარდა ძველებურჩვენებურ უდარდელობას მიცემული ქართველობისა. შედეგად ჩვენი მიწა-წყალი, სათიბ-საძოვრები, ცხვარ-ძროხა, თუ ფაბრიკა ქარხნები სხვისი სანავარდო და საპატრონო გახდა. მწარმოებელი ძალების გარეშე დარჩენილი ერი კი, მმართველობის რა ფორმაც გინდა აირჩიოს, კარგავს ყოველგვარ ისტორიულ პერსპექტივას. დიდ-პატარამ ყველამ უნდა შევიგნოთ და შევისისხლხორცოთ ეს.

ძველი სამეურნეო ტრადიციებისადმი ერთგულება და მისი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შესატყვისი ფორმებით აღდგენა-აღორძინებაა აქაც წამალი. ამის გარეშე ეროვნულ ეკონომიკას და მაშასადამე, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერ ქვეყანას ვერ შევქმნით. ყველაზე თავმინებებული ჩვენს სახალხო მეურნეობაში კი, სწორედ, მთისა და ბარის ათასწლოვანი ტრადიციული სამეურნეო დარგებია. დღეს იშვიათად თუ გაგვახსენდება ვინმე მათი არსებობა — კოლონიურმა მონოკულტურამ წალეკა ისინი. ჩვენს ეკონომიკურ გეგმებში მათ სასწრაფოდ უნდა მივცეთ „მწვანე გზა“.

ყველაფერი ეს გვიჩვენებს, რომ ერთმანეთისაგან იზოლირებულად ტრადიციონალიზმის ვერც ერთ იდეას ვერ მოვიაზრებთ და ვერც გადავჭრით. ამიტომ ტრადიციონალიზმს, უპირველეს ყოვლისა, კომპლექსური გააზრება სჭირდება. მისთვის უცხო და მიუღებელია სტატიკური, მეტაფიზიკური მიდგომა, რადგან იგი, ისე, როგორც თვითონ ქვეყნის ცხოვრება და ისტორია, მრავალსახაა — სამეურნეო და პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეკოლოგიური, კულტურული და სოციალური, საერთო-ეროვნული და რეგიონალური, მთისა და ბარის, სოფლისა და ქალაქის, ცალკეული მხარეების და კუთხეების, ოჯახურ-საყოფაცხოვრებო და რიტუალური...

კონსერვატიზმისა არ იყოს, არის ამასთან, ტრადიციონალიზმი ძველი და ტრადიციონალიზმი ახალი — ეს განსაკუთრებით საქართველოსავით ძირძველ ქვეყნებში: ძველს, შედარებით სტატიკურს და კონსერვატიულს, დაშვება და გათანამედროვება სჭირდება — ეპოქის მოთხოვნილებებთან ინტეგრირება. ახალს კი, ჯერ დაუდგენელ-დაუდგენელს, ძველთან შედარებით, დინამიურს და რადიკალურს, ჭარბი ლექსებისაგან განწმენდა, ერის ცხოვრებასა და ფსიქიკურ წყობასთან შეგუება-ადაპტირება.

მაგალითად, ისტორიულ სამცხე-ჯავახეთში და ჰერეთ-კახეთში — მეაბრეშუმეობის კლასიკურ მხარეებში, საუკუნეთა მანძილზე ფეხი მოიკიდა ეკონომიკურად და ეკოლოგიურად მეტად ეფექტურმა სამეურნეო ტრადიციამ: ეზო-ყურეში, ღობის ძირებში, სარწყავი რუების ჩაყოლებით, თვით ტერასებზეც კი, ხალხი მასობრივად რგავდა თუთის ხეებს. ახლაც შეხვდებით ნასახლარებზე ამ ტრადიციის ნაკვალევს გადაჯიშებული, უპატრონოდ მიტოვებული თუთის ხეების სახით. ამიტომაც საკვები ბაზა არასოდეს აკლდა ქართულ აბრეშუმს... დღეს მეტი საშუალებაა, თუნდაც მარტო ტექნიკის თვალსაზრისით, ახალი ფორმით ავაღორძინოთ ეს შესანიშნავი ტრადიცია. ისე, რომ ძველ ტრადიციებს უბრალოდ, ეპოქის შესატყვისი ახალი გააზრება სჭირდება, ორივე მათგანს კი — ახალსაც და ძველსაც, სპეციალური კვლევა-ძიება და ქვეყნის პოლიტიკურ სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში დამკვიდრება. ეს ნებისმიერი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სოციოლოგიური ხმოცანაა. ამიტომაა, რომ ტრადიციონალიზმის კლასიკურ ქვეყნებში — იაპონიაში, ინგლისში, ჰოლანდიაში, ისრაელში... სპეციალური ინსტიტუტები და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებია შექმნილი ამ მიზნით.

ალბათ, საქართველოსთვისაც უპრიანი უნდა იყოს მსგავსი სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შექმნა ტრადიციონალიზმის საერთო-სოციოლოგიური არსისა და მისი სხვადასხვა მიმართულებების კვლევა-ძიებისათვის. მით უმეტეს, რომ გადასაწყვეტია საქართველოს ისტორიის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა და კონცეფცია, მათ შორის კლასობრივი ბრძოლისა და ფორმაციების, ფაქტიურად ხელახლა დასაწერია უკანასკნელი საუკუნეების სოციალური ისტორია, ახალ საგნად ჩამოყალიბებას თხოულობს ქართული პოლიტოლოგიაც... ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ამოცანები თხოულობენ ამ საკითხების სწრაფ გადაჭრას.

საგაზეთო წერილში ძნელია ტრადიციონალიზმის მთელი კომპლექსის და თუნდაც, მისი ერთ-ერთი შემადგენელი პრინციპის — მონარქიზმის ყოველმხრივი ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება. ამისათვის საჭიროა მოეწყოს სპეციალური დისკუსია.

ამიტომ მისასალმებელია ტრადიციონალისტთა კავშირის გადაწყვეტილება, მიმდინარე წლის ნოემბერში მოაწყოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია ამ პრობლემატიკის ირგვლივ. მასში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ „მონარქისტებმაც“ და „ანტიმონარქისტებმაც“, მთელმა ჩვენმა ინტელიგენციამ, სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებმა, რამეთუ საქმე ეხება ქვეყნის, მისი სახელმწიფოებრივი წყობის მომავალ ბედ-იღბალს.

ჩვენი წინადადებაა, რომ კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში შევიდნენ ჩვენი ოპონენტებიც, რომელთაც შეუძლიათ წარმოადგინონ კონფერენციის მუშაობის ალტერნატიული პროგრამა და შესაბამისი რეკომენდაციები და მოხსენებები, ანდა მათი თეზისები.

კონკრეტული წინადადებებისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგი მისამართით: 9 აპრილის ქ. № 5, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი.

ვფიქრობთ, რომ კონფერენცია ნათელს მოჰფენს ტრადიციონალიზმის ბევრ მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას და რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ხალხის პოლიტიზაციის დონის ამაღლებას. ჩვენი ყველაზე დიდი ხვალის იმედიც სწორედ ამას უნდა დაეფუძნოს, რადგან აბრაამ ლინკოლნისა არ იყოს, არაფერია შეუგნებელ და გაუცნობიერებელ ბრბოზე საშიში და არაფერია შეგნებულ და გათვითცნობიერებულ ხალხზე ძლიერი. ჩვენი ისტორიის უკანასკნელმა მოვლენებმაც ნათელყო ეს და ჩვენი ვალია მომავალში მაინც, ეს კოშმარული დღეები აღარ განმეორდეს.

# იმედით ხვალის...

ედუარდ ხაბიაშვილი

დასასრული. დასაწყისი იხ. № 122-128.

## თბილისის საგამოფენო დარბაზში







# ამერიკელი ფოტოარტისტების ხელოვნება



ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ასოციაციის საგამოფენო სალონში (ლესელიძის ქ. № 8) გაიხსნა ციკლით — „მსოფლიო პროფესიული ხელოვნების ჩვენება“ — გათვალისწინებული ამერიკის შეერთებული შტატების ფოტოხელოვანთა გამოფენა.

ქართველი ფოტოხელოვნების მოყვარულები ამ ასოციაციის საშუალებით უკვე გაეცნენ „ვოლდ პრეს ფოტო“-ს (მსოფლიო პრესის საუკეთესო კოლექცია ამსტერდამიდან), ჰოლანდიელ ფოტოხელოვანთა უმაღლესი დონის ნამუშევრებს, ამერიკელი ქალბატონის ნენსი კუენის მიერ გადაღებულ ქალაქებს — ნიუ-იორკსა და ვენას, ესპანეთის ავანგარდისტულ ფოტოხელოვნებას, თამაზ ბიბილურის მოსკოვის პუტჩის დღეების ამსახველ დოკუმენტურ ფოტოებს. ეს ყოველივე, ცხადია, დრო და დრო იკავებდა სალონის კედლებს, — აქ ხომ საქართველოს ეროვნული მოძრაობის ამსახველი მუდმივი ექსპოზიციაა.

ასოციაციას რა ხანია კავშირი აქვს დამყარებული მრავალ სხვადასხვა ლარგის საზღვარგარეთულ ფირმასთან, აგრეთვე ცალკეულ პირებთან — ბიზნესმენებთან თუ ხელოვან ხალხთან. ამ კონტაქტების მეშვეობით ასოციაცია ცდილობს ჩამოიტანოს გამოფენების მოსაწყობად, ფილმების გადასაღებად, ჟურნალისტების მუშაობისათვის აუცილებელი აპარატურა.

ამერიკელ ფოტოხელოვანთა ნამუშევრები სიუჟეტისა და თემატიკის მრავალფეროვნებით ხასიათდება: აქ ერთი კედელი ეთმობა პეიზაჟს, ბუნებას, ეკოლოგიაში ადამიანის შეჭრას და ამით შექმნილ საფრთხეს; მეორეზე უშუალოდ რეპორტაჟული ხასიათის ტიპიური ხედებია, მესამეზე ეროტიული ჟანრი ფიგურირებს. არის, აგრეთვე, ყოფითი ხასიათის ფოტოები.

უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენაზე მრავლადაა ფერადი ფოტონამუშევრები, საოცარ ფერადოვნებასთან ერთად ტექნიკის ფლობის უმაღლეს დონეს რომ გვიჩვენებს. ფოტოარტისტები უკანასკნელი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით აღწევენ საოცარ ეფექტს. ფოტოები გვაკვირვებს არა მარტო ბუნებრივი ფერებით, არამედ ამ ფერთა უჩვეულო გრადაციითაც.

გამოფენაზე შეიძლება კიდევ ბევრი ითქვას, მაგრამ, როგორც იტყვიან — ასჯერ გაგონილს, ერთხელ ნანახი სჯობსო. ასე რომ, ყველას, ვისაც გიზიდავთ ფოტოხელოვნება, აგრეთვე იმათ, ვისაც თანამედროვე ფოტოაპარატურის სასწაულქმედების ხილვა სურს, შეუძლია ეწვიოს საქართველოს ფოტოჟურნალისტთა და კინემატოგრაფისტთა ასოციაციის საგამოფენო სალონს ყოველდღე (კვირის გარდა), ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

საკუთარი ინფორმაცია

# მშვიდობის მტრედის ავტოგრაფები

24 ოქტომბერი ყოველწლიურად აღინიშნება მსოფლიოში როგორც გაერთიანებული ერების თარიღი.

24 ოქტომბერს საქართველოში, აგრეთვე, აზერბაიჯანში, სომხეთში და კავკასიის სხვა ქვეყნებში დაიწყო გაერთიანებული ერების დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც 30 ოქტომბრამდე გასტანს.

ამ კვირეულის ამბავი ბევრისთვის უთუოდ ცნობილია, მაგრამ მთავარია, ვიყოთ არა პასიური მეთვალყურე ამ მოძრაობისა, არამედ აქტიური მონაწილე, უფრო მეტიც, უნდა ვეცადოთ სხვებსაც ვაუწყოთ გაერთიანებული ერების დღის არსი და მნიშვნელობა.

საამისოდ საკმარისია ადამიანური, ჰუმანისტური იდეების გაცნობიერება და... მოქმედება, რომელიც, კავკასიაში ამ კვირეულის მოწყობის თაოსანს ბატონ გიორგი კრასოვსკის (პარიზი) თუ ვერწმუნებით, ნებისმიერ მოქალაქეს ადვილად ძალუძს.

მაშ ასე, ძვირფასო მკითხველო, მოიძიეთ თაბახის თეთრი ფურცელი და ფლომასტერით დახატეთ ზედ დიდი შავი წრე (ეს დედამიწას ნიშნავს) და მარტივი ხაზები (ეს მშვიდობის მტრედის ნაფეხურებია, რომელიც გიორგი კრასოვსკის თქმით, სარცრად ჩამოგავს წმინდა ნინოს ჯვარს).

ერთი სიტყვით, გაერთიანებული ერების დღის სიმბოლო — მშვიდობის მტრედის ავტოგრაფი მზად არის: ახლა საჭიროა თვალსაჩინო და ხალხმრავალ ადგილას წარმოაჩინოთ იგი. ამ მოქმედებით თქვენ ადასტურებთ თქვენს მზადყოფნას, რომ ყველგან და ყოველთვის საომარ მოქმედებათა დაუყოვნებელი შეწყვეტისა და ნებისმიერი კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტისათვის ილვწით.

აღნიშნული სიმბოლო მეორე მსოფლიო ომის მიწურულს შეიქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პიკასოს ცნობილ მტრედს ტოლს არ უდებს, თუნდაც იმიტომ რომ მისი დახატვა ყველას ადვილად შეუძლია.

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს მშვიდობის ფონდისა და საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციის მესვეურებისა და ბატონ გიორგი კრასოვსკის ცნობით გაერთიანებული ერების დღისადმი მიძღვნილი კვირეულის თითოეულ დღეს ერთი კონკრეტული მისია აკისრია, სახელდობრ,



24 ოქტომბერი, ხუთშაბათი, თავაზიანობის დღეა, 25 — პარასკევი — თანაგრძნობისა, 26 — შაბათი — ძალმომრეობისაგან თავშეკავებისა, 27 — კვირა — საოჯახო ჰარმონიისა, 28 — ორშაბათი — სხვაგვარად მოაზროვნეთა შეწყნარებისა, 29 — სამშაბათი — ეთნიკურ უმცირესობათა მიმართ თანაგრძნობისა, 30 — ოთხშაბათი — შერიგებისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისა.

გვანჯი მანია

**გასწორება**

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ სარეკლამო განცხადებაში „ყურადღება, ყურადღება“ შეცდომაა. უნდა იყოს: თამაშდება 2 პრემია — თითოეული 1000 მანეთი და ორიც — თითოეული 50 დოლარი 1000 კაცზე;


# განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების კათედრასთან გაიხსნა გამოყენებითი ინფორმატიკის ერთთვიანი, ექვსთვიანი და ერთწლიანი კურსები, კურსებზე ჩაირიცხებიან ნებისმიერი პირები, სპეციალობისა და განათლების მიუხედავად. აგრეთვე უფროსკლასელები.

კურსებზე მსმენელები შეისწავლიან თანამედროვე IBM-თავსებად კომპიუტერზე მუშაობას, ინფორმაციის მანქანაზე დამუშავების სისტემების დაპროექტებას, ინგლისურ ენას (სხვა ენების შესწავლა იწარმოებს სურვილის მიხედვით).

სასწავლო ჯგუფები დაკომპლექტდება მსმენელთა პროფესიისა და მათი მომზადების დონის მიხედვით. ჯგუფში გაერთიანებული იქნება არაუმეტეს 10 მსმენელისა. ყოველი მსმენელი იმუშავებს ცალკე კომპიუტერთან.

მსმენელთათვის მეცადინეობას ჩაატარებენ უნივერსიტეტის გამოცდილი პროფესორ-მასწავლებლები. მეცადინეობები ჩატარდება მსმენელებთან (სასწავლო ჯგუფებთან) შეთანხმებული ცხრილით. რაიონებიდან ჩამოსულთათვის სწავლა იწარმოებს შაბათ-კვირას. საბუთების მიღება პირველი ნოემბრიდან. სწავლა დაიწყება 15 ნოემბერს.

კურსდამთავრებულებს მიეცემათ სათანადო მოწმობა და დიპლომი.

კურსებზე სწავლა ფასიანია. ანაზღაურება შეიძლება როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდ ანგარიშზე.

კურსებზე სწავლის მსურველებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ ორი ფოტოსურათი 3X4, დიპლომის ან ატესტატის ასლი (ვისაც აქვს).

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა № 2, უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსის მე-6 სართული, ეკონომიკური ინფორმატიკისა და მართვის ავტომატიზირებული სისტემების სასწავლო ლაბორატორია. ოთახი 614. ტელ. 30-37-10. კურსების ხელმძღვანელი შ. ძნელაძე.


# გეპატიჟებათ „შანსი“!

31 ოქტომბერს თბილისის მეტროპოლიტენის ოცდაერთივე სადგურში მგზავრებს (600 000 კაცზე მეტს) მოემსახურებიან... უფასოდ. არა ბატონებო, ეს სულაც არ ნიშნავს კომუნიზმში შესვლას, უბრალოდ, ამ დღეს თქვენი მასპინძელი იქნება გაზეთი „შანსი“.

აქვე გაცნობებთ რომ მეტროპოლიტენის ყველა სადგურში შეგეძლებათ, როგორც „შანსის“, ასევე ნებისმიერი გაზეთის გამოწერა!

მაშ ასე, თუ გსურთ დაკარგოთ ცხოვრების „შანსი“ არ გამოიწეროთ გაზეთი „შანსი“!

„შანსის“ რედაქცია

# „შანსი“ — ბიოენერგიით!...

როგორც გსურთ, ისე ჩათვალეთ, მთავარი შედეგია.

30 ოქტომბერს „შანსის“ მთელი ნომერი დამუხტული იქნება ჩვენში და უცხოეთში ცნობილი ბიოკორექტორის თამაზ ქეიშვილის ბიოენერგიით. საგაზეთო სტრიქონებში ჩამუხტული ბიოენერგიის წყალობით მკითხველებს გაუქრებათ ტკივილის სინდრომები, იგრძნობენ რელაქსაციას, სიმშვიდეს. უძილობით გატანჯულ „შანსის“ მკითხველებს 30 ოქტომბრის ღამით ღრმა და მშვიდ ძილს ვპირდებით. ასეთი ზემოქმედება, რა თქმა უნდა, პანაცეა არ არის და შედეგიც მხოლოდ სამი-ოთხი დღით განისაზღვრება. კაშპიროვსკისა და ჩუმაკის მასობრივი ტელესეანსებისაგან განსხვავებით, დამუხტული გაზეთი იმოქმედებს ერთ კონკრეტულ პიროვნებაზე, ე.ი. კონკრეტულ მკითხველზე.

ეს აქცია საქველმოქმედოა და არავის არაფრით ავალდებულებს. მისი მიზანია ჩვენს თანამემამულეებს შეუმსუბუქოს განვლილ კოშმარულ დღეებში მიღებული სტრესებისაგან გამოწვეული სულიერი დაძაბულობა, მოჰგვაროს სიმშვიდე, დაუბრუნოს კარგი განწყობა... აქვე გვსურს აღვნიშნოთ, თუ ასეთი ინიციატივა მკითხველთა მოწონებას დაიმსახურებს, პერიოდულად ისევ გავიმეორებთ, როგორც წლეულს, ისე გაისადაც.

რა არის ეს? ხუმრობა, ფანტასტიკა, მასობრივი ფსიქოთერაპია თუ რედაქციის ახირება? როგორც გსურთ, ისე ჩათვალეთ, მთავარი შედეგია.

მაშ ასე, 30 ოქტომბრის „შანსის“ ნომერი მთლიანად დამუხტული იქნება ბიოენერგიით. ამავე ნომერში წაიკითხავთ ვრცელ მასალას და ინტერვიუს ბიოენერგეტიკის საკითხთან დაკავშირებით.

„შანსის“ რედაქცია

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „ადამიანები“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა


საინფორმაციო კომპიუტერული ცენტრი

# გთავაზობთ

— წიგნებისა და ჟურნალების —
— გაზეთებისა და ბროშურების —
— რეკლამებისა და ბლანკების —
— აფიშებისა და ეტიკეტების —
— სავიზიტო ბარათების —

აწყობა-დაკაბადონებას კომპიუტერული ტექნიკით.

თქვენ შემოგთავაზებენ ქართული, რუსული და ლათინური შრიფტების ფართო არჩევანს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მაქსიმალურად გაითვალისწინებენ თქვენს სურვილებს და დათქმულ ვადაში შეასრულებენ დავალებას.

**ჩვენი სახით თქვენ შეიძენთ საიმედო პარტნიორს!**

ჩვენი მისამართია: თბილისი, წერეთლის 130, ტელ: 35-26-44, 34-05-14.



**თუ გსურთ გზა გაიკვლიოთ ბიზნესის სამყაროში და არ ჩამორჩეთ დროის მოთხოვნებს, მიმართეთ საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტს“**

ფირმა გთავაზობთ:

ნებისმიერი ტიპის მცირე საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, სააქციო საზოგადოების და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე საწარმოთა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შექმნას;

სამეურნეო გაერთიანებათა (ასოციაცია, კონცერნი, კონსორციუმი და სხვა) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შემუშავება;

სახელმწიფო საწარმოთა და ორგანიზაციათა არენდაზე გადაყვანისა და მათი შემდგომი პრივატიზების შესაძლებლობების შესწავლა და სათანადო დოკუმენტაციის შექმნა;

კომერციული ბანკის, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების დაფუძნებისათვის აუცილებელი დოკუმენტების პაკეტის შემუშავება;

საწარმოთა და სამეურნეო გაერთიანებათა საბუხჰალტრო დოკუმენტაციის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება მისი მოქმედ წესებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**ჩვენი მისამართია:** 380007 ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ.№18 (თავისუფლების მოედანთან), მე-4 სართული.

ტელეფონები: 99-02-76, 93-99-70, 11 სთ-დან 17 სთ-მდე.


**საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გლდანის განყოფილება აცხადებს კონკურსს**

№90-ე ბაღის ბაზაზე არსებული ქართული ფოლკლორის ექსპერიმენტალურ ცენტრ „ცეროდენაში“ მიღებაზე. ცენტრში მიიღებიან გოგონები და ბიჭები მხოლოდ 4-დან 7 წ. ასაკამდე.

კონკურსში გამარჯვებულები შეისწავლიან ქართულ ცეკვებს, სიმღერებს და ხალხურ საკრავებზე დაკვრას.

ჩვენი მისამართია: გლდანი „ა“ მ/რ, 90-ე ბაღი. მეტრო : ახმეტელის თეატრი. ელსმენი: 62-32-88.

**ვყიდი**

„კაზ 45-40“ მარკის დიზელის ძრავაზე მომუშავე თვითმცლელს, მისაბმელით.

ტელ.: 39-02-98


**ტურისტული მოგზაურობები საბჭოთა მანეთებში**

**ფირმა „ზევსი“ გთავაზობთ:**

მხოლოდ მათთვის, ვისაც საკუთარი სიამოვნებისათვის ქაღალდადქცეული საბჭოთა მანეთები არ ენანება, ფირმა „ზევსი“ აწყობს უაღრესად პრესტიჟულ კრუიზს გერმანიაში, ნორვეგიული წარმოების თბომავლით „ანა კარენინა“—მარშრუტით: ლენინგრადი-კილი-ლენინგრადი. კრუიზის ხანგრძლივობა 7 დღეა. ამას ემატება ორი დღის განმავლობაში ლენინგრადში მაღალი კლასის სასტუმროში ცხოვრება. ორადგილიან კაიუტაში ერთი საგზურის მინიმალური ფასი 10890 მანეთია. ამ ფასში გათვალისწინებულია ტურისტთა ყველა ხარჯები თბილისიდან თბილისამდე. მანქანების ყიდვის შემთხვევაში ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ მათი გემზე დადებისა. ჯგუფები კომპლექტდება მხოლოდ 15 ნოემბრისთვის.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, შანიძის (ყოფილი კალანდაძის) ქ.№3 (სასტუმრო „საქართველოსთან“) მიღების საათები: 11-დან 18 სთ-მდე. დასვენების დღე კვირა. ტელ.: 23-15-58

**პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!**

გახსოვდეთ, რომ ფირმა „ზევსი“ არსებობს და მოღვაწეობს მხოლოდ და მხოლოდ თქვენთვის!



**სიტმარა**

გთავაზობთ

ვათვი «დრუჟბა». სპილო «მიკი». სამაგიდო თამაშები: «თავისუფლება». «ფორმულა 1». «მრუდი». «ჯენერალი». «ლიტ-ლოტო». «მინი კალათბურთი».

...

თქვენი შვილების

ლიმილისათვის





**იყიდება**

ჩუქური წარმოების კაფელი 20 კვ.მ.

ტელ.: 22-12-47

**ვცვლი**

სამოთახიან კეთილმოწყობილ ბინას ქალაქ უსტ-ილიმსკიდან (ირკუტსკის ოლქი) თბილისში ან ქუთაისში. სამოთახიანი ბინა მდებარეობს ქალაქის ცენტრში 5-სართულიან ბინაში, მესამე სართულზე, აქვს აივანი, არის გარემონტებული.

შეგიძლიათ დაკავშირება წერილით შემდეგ მისამართზე ქ. უსტ-ილიმსკი — 3, 665770 ლენინის ქუჩა №12-128. შუბლაძე ც. დ.

შეგიძლიათ დარეკოთ ქუთაისში 5-53-89

**იყიდება**

თანამგზავრის ანტენა „ELTA 505STEREO“. დისტანციური მართვით, ხმის სტერეო მიღებითა და 54 არხის დამახსოვრების შესაძლებლობით. ფასი 35000 მანეთია. ყიდვა შესაძლებელია როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ დარეკონ ტელეფონზე: 96-72-45

**მსურს ვიქირავო**

ოროთახიანი ან ოთახნახევრიანი იზოლირებული, კეთილმოწყობილი ბინა, ტელეფონით. სასურველია თბილისის ცენტრალურ რაიონში (საბურთალო, ვაკე და ა.შ.)

დარეკეთ: 37-58-25


**უცხო ენების შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

გთავაზობთ უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებს ფსიქოლოგთა დახმარებით:

ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური და ებრაული.

მეცადინეობას, რომლის ვადაა 3 და 6 თვე წაუძღვებიან მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები. სწავლა იწყება 1 ნოემბრიდან. მსურველებს ვთხოვთ დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართონ 1 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ყაზბეგის გამზ. (ყოფ. პავლოვის ქუჩა) №39, 60-ე საშ. სკოლა. ტელ.: 39-21-78


**ფეხსაცმელების დამამზადებელი კოოპერატივების საყურადღებოდ**

ვამზადებ ქალის მაღალი ხარისხის ფეხსაცმელების ქუსლებს, მსურველებს ვთხოვ დარეკონ ტელ.: 35-11-78, დილით 8 საათიდან 9 საათამდე, საღამოს 20 საათის შემდეგ.

**ფუტკრის შხამის ყიდვის მსურველებს!**

ვთავაზობთ მოვიდნენ ჯორჯიაშვილის ქ.№2, ქაშუეთის ეკლესიასთან ბაღში, ვეტერანთა კლუბში, ყოველ შაბათს და კვირას 10-დან 12 საათამდე.


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ ოთხშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.